№ 247 ნოემბერი 16, სამშაბათი | 1893 | ნოემბერი 16 სამშაბათი № 247


გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10— | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8— | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური


# ივერია


გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკია 'ში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვ ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893

სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1893


## „ივერია"

გამოდის 1893 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1893 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთაშორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІА".

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.


ქართული თეატრი
ოთხშაბათს, 17 ნოემბერს,
ბ ე ნ ე ფ ი ს ი
ვ. ა. აბაშიძისა
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ
ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა და ვ. ს. ალექს. მესხიევის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:
I
შემოილია
დრ. 3 მოქმედ., გად. ვ. აბაშიძისა
II
დაქცეული ოჯახი
კომ. 3 მოქ. სუნდუკიანცისა
მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. ავალიშვილისა, ჩერქეზიშვილისა, მაქსიმიძისა და სხვ. ბბ. აბაშიძე, ალ. მესხიევი, გუნია, სვიმონიძე და სხვ.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი $7^1{}_2$ საათზედ



დაიბეჭდა და ისყიდება
კედლის ქართული
კალენდარი
1894 წლისა
შედგენილი გრ. ჩარკვიანის-მიერ
(მეექვსე წელიწადი)
კალენდარი ისყიდება იზმიროვის მემკვიდრის ს. მ. ლაზრიევის მაღაზიაში, წიგნების გამომც. ამხან. პავილიონში, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების მაღაზიაში და აგრედვე პროვინციებში ქართულ წიგნების მოვაჭრეებთან.
ფასი ყველგან ორი აბაზი.
(3—2)



10 დეკემბერს ამა 1893 წლისას დანიშნულია ქუთაისში
საზოგადო კრება
ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის წევრთა, ამავე ბანკის სადგომში განსახილველად იმ მორიგის საქმეებისა, რომელიც მაისის კრების შეწყვეტის გამო განუხილველი დარჩა. ეს საქმეებია: არჩევანი ზედამხედველ კომიტეტის წევრთა, ბანკის გამგეობის თავსმჯდომარისა და გამგეობისავე წევრთა კანდიდატებისა.
თავმჯდომარე ზედამხედველის კომიტეტისა და საზოგადო კრებისა თავადი
ალექსანდრე წულუკიძე
(3—1)


## ახალი ამბავი

*** ტფილისის სასულიერო სემინარიის ქართული ხორო რუსულად გადააკეთეს, ასე რომ ეხლა ზემოხსენებულ სემინარიაში ორი რუსული ხოროა, ქართულ გალობას-კი ძვირად გაიგონებთ; მხოლოდ ხანდისხან გაიგონებთ მარტო „უფალო შეგვიწყალენ-"ს და მასაც ათასში ერთხელ.

*** ჩვენ გვითხრეს, რომ ერთი ქართველი ქალი „ვისრამიანი"-ს გალექსვას შესდგომია; რამდენიმე თავი მზად აქვს და დანარჩენსაც მოკლე ხანში აპირებს დათავებასაო.

*** ტფილისის საბალოსნო სკოლაში წელს დაამთავრა სწავლა ოთხმა ქართველმა: აკაკი გაბუნიამ, მიხეილ მამულაშვილმა, ნიკოლოზ მდივნიშვილმა და ალექსანდრე უზბაშიშვილმა.

*** ქუთაისი: წელს ქუთაისის სასულიერო სასწავლებელს და მის ეკკლესიას დაუნიშნეს ახალი მოძღვარი, რომლის განწესების შემდეგ წირვა-ლოცვა მიდის ქართულ-რუსულ ენაზედ რიგ-რიგით, ერთ დღეს ქართულად, მეორე დღეს რუსულად. ახალს მოძღვარსვე განუზრახავს მოკლე და მარტივი მოძღვრებანი უთხრას ხოლმე შეგირდებს დრო-გამოშვებით ზოგიერთი საზნეობო საგნების შესახებ.

*** იქიდგანვე: თუ ტფილისში სიონის ტაძარია შევიწროვებული დუქნებითა და მაღაზიებით, არც ჩვენი საკათედრო ტაძარია ამ მხრით კარგს მდგომარეობაში. მართალია, ამას წინად გალავანის შემოსარტყმელად საძირკველი უკვე ჩაიყარა, მაგრამ ეზო მაინც ძალიან მცირეა და ვიწრო. ეტყობა რომ სამხრეთით საეკკლესიო ადგილი ქუჩას მიუთვისებია. სამხრეთით და ჩრდილოეთით აქვს ქუჩები და ამის გამო უფრო ძლიერ არის შევიწროვებული გალავანი. რადგან გარშემო ტაძარს ქუჩები არტყია, ამის გამო აქ მუდამ ხმაურობაა ეტლების მისვლა-მოსვლის გამო, რაიცა ცოტა არ უშლის ტაძარში მღვდელ-მოქმედების მოწიწებით შესრულებას და მლოცველთა გულმოდგინე ლოცვას. ჩვენს მღვდელმთავარს გაბრიელს ვრცელი ყურადღება მიუქცევია ამ გარემოებისათვის. საჭიროა ეხლავ უშველონ რამე ტაძრის ეზოს გაფართოვებას, თორემ მერე, რაკი გალავანი გაკეთდება, გვიან-ღა იქმნება.

*** საქონლის ჭირი ჩვენს მაზრაში თანდათან კლებულობს, როგორც ტფილისის მაზრის უფროსი თავ. ჯანდიერი აცნობებს ტფილისის გუბერნატორს, ამას წინად რომ ეს ჭირი ყარაიას მხარესაკენ მძვინვარებდა, იქ ამ თვის დამდეგიდგამ საქონლის ჭირის ხსენებაც აღარ არის. ღვევის საზოგადოების სოფ. ლასტის-ცხესაც თურქულით ავიდმყოფობა საქონლისა მოისპო, მხოლოდ ეს სენი დღემდე ვერ მოუსპიათ ჯერ-ჯერობით სოფ. წყნეთში, სადაც ამ ჟამად ოც-და-ათზედ მეტი სული საქონელია ავად თურქულითა.

*** სად. ზაზალი: 13 ნოემბერს, 11 ს. 25 წ. ღამით რელსების ახლოს იპოვნეს უცნობის კაცის გვამი.

## წერილი რედაქციის მიმართ

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის შემწეობით ჩემი გულითადი მადლობა გამოუცხადო იმათ, ვინც შემოსწირეს მთაწმინდის საეკლესიო სამრევლო ქალთა სკოლის ახლად დაწესებულ ბიბლიოტეკას, საყმაწვილო და სხვა საკითხავი წიგნები. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგდოებამ: ორმოცი წიგნი, კნეინა. ნ. ს. ორბელიანისამ ხუთი წიგნი, კნიაჟნა ნინა თახხანოვისამ ათი, ბ. ზ. ჭიჭინაძემ ასი, თავად. ა. ინალიპამ ორი ნაწილი ლერმანტოვის თხზულება, სკოლის გამგემ ნ. მღ. მაჭაროვმა ოცი წიგნი, ამავე სკოლის მასწავლებელმა ანასტასია. ი. კოტეტოვისამ ათი წიგნი, მთაწმინდის ეკკლესიის მთავარ-დიაკვანმა გრ. უზნაძემ ჩვიდმეტი წიგნი, სულიკოვმა ასი საწერი რვეული, ასი გრიფილი, ოცდა ოთხი კარანდაში, ოცდა ოთხი კალამი ერთი დასტა ქაღალდი, ექვსი მინა მელანი, ერთი პაჩკა რკინის კალამი.

ამასთანავე მადლობას ვუძღვნი იმათაც, რომელთაც ნივთეური დახმარება აღმოუჩინეს ხსენებულ სკოლას მირიმანოვს, როტინოვს, ცატუროვს, ასტვა-ცატუროვს ვარძიგულოვს, ჟერარდს, ალშვანგს, ურიანოვს, ყორღანოვს, და გ. რ. თავად წერეთელს. აგრედვე გულითად მადლობას ვუცხადებ სემინარიის რეკტორს, არხიმანდრიტს მამა სერაფიმს, კნიაჟნა ქეთევან ქ. ბაგრატიონმუხრანსკისას, რომელთაც თითო თუმანი შემოსწირეს, კნიაჟნა ნინო თარხნიშვილისას, რომელმაც მოგროვილის ფულით შესძინა სკოლას სკამები და ჭრა-კერვისთვის სხვა-დასხვა საჭირო მასალები.

მთაწმინდის მამა დავითის ეკკლესიის სამრევლო ქალთა სკოლის საპატიო მზრუნველი კნეინა ალექსანდრე მაკარის ასული
მელიქიშვილისა.

1ႠႠ ნოემბერს.

## კორესპონდენცია

**სტეფან-წმინდა.** ამ ექვსის წლის წინად, მინამ გველეთში სცხოვრობდნენ ქისტები, როგორც სოფლებში, აგრედვე სამხედრო გზაზედაც ქურდობა და ცარცვა-გლეჯა ხშირი იყო. იშვიათი ღამე იქმნებოდა, რომ ამ ვაჟ-ბატონებს ან სოფლები და ან მგზავრი არ გაექურდნათ. მთავრობამ ბევრნაირი ღონისძიება იხმარა, მაგრამ ვერ მოაშლევინა გზებზე ნაფარდობა და მგზავრთა თავ-დასხმა, ვიდრე სრულიად არ გადაასახლა ახალციხის მაზრაში. მათის გადასახლებით მოსალოდნელი იყო, რომ სოფლებში და გზებზე ჩამოვარდებოდა მშვიდობიანობა და ქურდობაც მოისპობოდა. ეს ასეც მოხდებოდა, აუცილებლად თუ რომ, რაინ- [illegible] გაეწვრთნათ, ამავე ხელობაში, თვით ის სოფლებიც, რომლებიც, უეჭველია, იყვნენ მათი ამხანაგები და სოფლებში ქურდობის დროს წინამძღოლობას უწევდნენ თავიანთს ოსტატებს. აი ამ ქურდ-ბაცაცა ქისტების ნაშაგირდალთ დარჩათ ბურთი და მოედანი,—რაკი ქისტები მთავრობამ მოაშორა ამ არე-მარეს, და თავისუფლად ნავარდობენ სოფლებში.

ამ კეთილ სინიდისიერთ, სხვათა შორის, გასტეხეს სტეფანე ახალოვის დუქანი, რომელიც 15 წელიწადია სტეფანწმინდაში ფარჩეულობას ჰყიდის. 25 ნოემბერს სტეფანე ახალოვმა 600 მანეთის მეტი ფარჩეულობა მოიტანა კავკავიდგან და დუქანი კოხტად მოაწყო. თურმე ნუ იტყვით, ამ ბოროტ მომქმედთ დაუთვალიერებიათ ყველაფერი და შესდგომიან თავიანთ საქმეს. უშოვიათ რკინის ტაბიკი და კლიტე იმით გაუტეხნიათ. მეორე დილით ჰნახეს, რომ დუქანი გატეხილიაო და დიდი ალიაქოთი შესდგა სოფელში. ხალხი დაიფანტა აქეთ-იქით გზების შესაკრავად, მაგრამ ვერაფერი აღმოჩნდა. ქურდებმა წაიღეს, რაც ახალი მოტანილი საქონელი იყო დუქანში და შიგადაშიგ რჩევით ძველებიც. გარდა ამისა დახლიდგან ამოეღოთ დავთარი, სადაც ნისიები იყო ჩაწერილი და ისიც წაეღოთ. ზარალი 2000 მანეთამდეა, როგორც თვით ახალოვი ამბობს. 600 მანეთისა საქონელია წაღებული და 1400 მან. ნისიები ყოფილა დავთარში ჩაწერილი. პოლიცია დაეძებდა ამ ორის კვირის განმავლობაში დამნაშავეთ და ერთი კიდეც შეიპყრეს—ეჭვით და არ ვიცით საქმე როგორ წავა. შვიდს ნოემბერს ადგილობრივმა ბოქაულმა ხალხს გამოუცხადა, რომ კომლზე ორ-ორი მანეთი უნდა გადაიხადოთ დაზარალებულის სასარგებლოდაო, და მამასახლისსაც უბრძანა ერთი კვირის განმავლობაში აკრიფე ფულიო. ამ გამოცხადებაზე ხალხმა ერთხმად უარი განაცხადა, არ შეგვიძლიან მაგ ფულის გადახდაო და კიდეც დაიშალა. თუ პოლიცია ამ ფულის კრეფას შეუდგა, დიდი უსიამოვნება ატყდება. 8 ნოემბერს აქ ერთი სამწუხარო ამბავი მოხდა: ს. არშაში მცხოვრებელმა ანდრია ბაზალმა მოჰკლა რევოლვერით ს. ყანობს მცხოვრებელი ივანე ლოდარიაშვილი. ეს ორნივენი მკვლელიცა და მოკლულიც მიწვეულნი იყვნენ ქორწილში ს. სტეფანწმინდის მცხოვრებ ივანე ჩეკიაშვილთან (გიგაური), როგორც ნათესავები. როდესაც ქალ-ვაჟთა თამაშობა გაიმართა, ამ დროს ერთმა დედოფლის მაყარმ, გ. ავსაჯანოვმა ამოიღო რევოლვერი და ჰერში უნდა ესროლნი; სამჯერ დააცემინა და, საუბედუროდ, არ გავარდა. შემდეგ ამისა რევოლვერი გამოართო ანდრია ბაზალმა გასასინჯად, რატომ არა ვარდებაო. ხელში რომ ატრიალებდა, რევოლვერი [illegible] და მოხვდა ტყვია მარჯვენა თვალში ივანე ლოდარიაშვილს, რომელიც ამ დროს თამაშობდა. საბრალომ დიდი ხანი აღარ იცოცხლა და იმავე ღამეს სული დალია. მეორე დღეს გარდაცვალებულის მშობლებმა სთხოვეს ბოქაულს, რომ გვაკმარეთ ერთი კაცის დაკარგვა და მაგ მკვლელს ნუღარ დაატუსაღებთ, რადგანაც მკვლელობა ჩაიდინა შემთხვევით და არა რაიმე ბოროტ-განზრახულობითაო. მიუხედევად ამ ნაირის თხოვნისა, პოლიციამ მაინც შეიპყრო ანდრია ბაზალი და დუშეთს გაჰგზავნა.

ნიკოლოზ კახაშვილი

**ქიზიყი.** ჩვენს სოფლებში ერთი უსიამოვნო გარემოება აწუხებს ყველა შეგნებულსა და კეთილ-გონიერს კაცს. ეს გარემოება ის გახლავთ, რომ გლეხკაცობა და, რასაკვირველია, თავად-აზნაურობაც, ძალიან ნაკლებად დაიარება ეკკლესიებში წირვა-ლოცვაზედ. რომელ სოფელშიაც უნდა მიხვიდეთ, ეკკლესიაში წირვა-ლოცვაზედ ორს მლოცავს ვერ დაინახავთ. სდგანან მღვდელ-დიაკვანი და მარტონი ლოცულობენ, მარტონი სწირავენ. ყველა კითხულობს, რამ მოსპო სოფლად სასოება და სიყვარული სარწმუნოებისა ღ ვერაფრით ვერ აუხსნიათ. ბევრნი იმას ასახელებენ მიზეზად, რომ მღვდლები გვაწუხებენ, ბევრსა გვთხოვენ ყოველგვარ მღვდელ-მოქმედების აღსრულებისათვისაო. მღვდელსა და მრევლს შორის ვაჭრობაა გამუდმებული და შეიძლება ამის გამო აუცრუვდა გული ხალხს ეკკლესიაზედაცა და წირვა-ლოცვაზედაცაო.

ზოგი დროს აზრალებს. დრო დადგა ისეთი, რომ ადამიანს გული ალარაფრისა აქვს, ლუკმა პურის ზრუნვამ დახშო ყოველივე ადამიანური გრძნობა. ვისაც ბევრი აქვს, ბევრის შეძენის ფიქრშია სულ, ხოლო ვისაც არა აქვს-რა, ის ველარაფრისთვის იცლის, ველარც ეკკლესიაში სიარულისათვის და ველარც ლოცვისათვის.

შ. ი. ვ—ძე

## გაზვიადებული საკითხავი

(წერილი რედაქციასთან)

სპეციალისტების ბაასმა სპეციალურ საგანზე, მეც, არა-სპეციალისტს სალერღელი ამიშალა და ლამის სალინგვისტო-საფილოლოგიო ბაასში ჩავერიო. მეტი ღონე არ არის კარგად მოგეხსენებათ ჩვენს მწერლობაში ალძრული კამათობა იმის გამო, რომ ბ-მა გ. წერეთელმა სახელი „ლაშა“ აწარმოვა რუსული სიტყვა лучъ-დამ; ამაზე „ივერიამ“ შენიშნა, რომ ეს სიტყვა აფსარული (აფხაზური) სიტყვააო, ამას ჰმოწმობს „ქართლის ცხოვრებაო“ და სხვ. და სხვ.

ჩემის ფიქრით ამ მოსაზრებათა შორის არც ერთია მართალი და არც მეორე. დამყარება ფილოლოგიურის კვლევისა ქართლის ცხოვრებაზე და სხვა ამ გვარს ისტორიულს «დოკუმენტებზე», იმას ეგვანება, გარჩევაცკი ბევრია ღვთისა წინაშე, რომ ამ ორასის წლის შემდეგ გამოჩნდეს ვინმე მკვლევარი და დაიჟინოს: ამა-დაამ დროს გ. წერეთელი ამასა სწერს, ან Plebs, ან თუნდა ვაჟა-ფშაველა; მოეწონოს ერთი ჩვენგანის შეხედულობა და დაიჟინოს: სწორედ სიტყვა „ლაშა“ ამას ჰნიშნავს, რასაც ეს მწერალი ამბობსო. ნუ თუ სასაცილო არ იქნება მისი მსჯელობა? ნუ თუ ამასვე არა ჰგავს სხვა-და-სხვა „დოკუმენტებზე“ დამყარება?

ჩვენ რომ ისტორიულ ფაქტთანა გვქონდეს საქმე ის სრულიად სხვა იყო: ფაქტი ფაქტად უნდა მივიღოთ, თუმც ისიც ბევრს შემთხვევაში ფრთხილად, შეგნებით; მაშინ-კი, როცა თეორეთიული სჯაა საჭირო უნდა ვიხელმძღვანელოთ მეცნიერულის მეთოდით, საღის მოსაზრებით, იმ მასალის გარკვევა-გაჩხრეკით, რაც ხელში გვექნება და რაც უსათუოდ საჭიროა ნამდვილის გამოსარკვევად.

წიგნზე დამყარებამ ერთხელ მეც მომაცდინა: ვახუშტის გეოგრაფიაში მოხსენებულია, რომ ლაშარობას, ფშავლების ერს უმთავრესს ხატობას (ჯვარობა) დაუდო საფუძველი ლაშა გიორგიმ, რომელმაც ეკკლესიას შესწირა ძვირფასი ჯვარი და შემდეგ ამაზე დღეობას დაერქვა „ლაშარის ჯვარი“, გახდა იგი სალოცავად მთელის ფშავისაო ღ სხვ. მე არც ვაციე, არც ვაცხელე, ეს ცნობა ავიღე და ერთს ჩემს ეტნოგრაფიულს წერილში მოვიხსენიე. ამაზე «ივერია»-ში ბ-ნმა ურბნელმა საფუძვლიანად შეჰნიშნა, რომ ეგ «ლაშარის ჯვარი» არის ლაშქრის ჯვარი, რომელიც სალოცავად უნდა ჰყოლოდა ფშაველებს ძველადგანვე, მინამ ლაშა გიორგი დაიბადებოდაო, — როგორც მოლაშქრეს ხალხს, — ღმერთი ომისა, (богъ воины) და ლაშა გიორგის ჯვარს აქ არავითარი ადგილი არა აქვსო და სხვა-და-სხვა. ნამდვილია. მეც ესევე უნდა მოგახსენოთ, რომ „ქართლის ცხოვრების“ განმარტებას ლაშა აფსარული (აფხაზური) სიტყვააო და ჰნიშნავს მანათობელსაო; არაფერი მნიშვნელობა არა აქვს.

აფხაზურ ენასთან რად უნდა გავრბოდეთ, როცა ფესვი „ლაშ“ თვით ქართულ ენაში მოიპოვება. ავიღოთ თუნდ სიტყვა ლაშქარი, — ქართული გვარი ლაშაური. ამასთანავე უნდა მოგახსენოთ, რომ ფშავლები, რომელთაც ვერა ფილოლოგი ვერ გამოსწირავს ქართველ ერსა, საუბარში ხმარობენ ლაშს, როგორც პირს, (ბაგეს, ყბებს). მე, თქვენს უმორჩილეს მონას ეს სიტყვა დღეში ორმოცჯერ მაინც მესმის. ვსთქვათ დედას უნდა უთხრას შვილს პური ჭამე, ნუ ჰყბედობო: „ბალღო, მანდ ლაშში ნუ იწრეხ-იგრეხ ე პური გველე! (ჭამე) ქალს არ მოსწონს ვაჟი, ამბობს: „ვაჰმე, რა გონჯ რაიმ არი, მაგის ლაშნი, რასა ჰგავ, კი რასა!!“ ბევრს ნუ ჰლაპარაკობო: „დააყენე ე ლაშნი!“

მკითხველი შეატყობს, რომ ფშავლები ამ სიტყვას თუ ცალკე უნდათ ხმარება მრავლობით რიცხვში ხმარობენ და რთულს სიტყვებში-კი მხოლობითში (ლაშაური, ლაშქარი და სხვ.) არის ფშაური მამაკაცის სახელი ლაშქარა. საზოგადოდ ხომ საკუთარს სახელებს აღმწერლობითი(описательное) მნიშვნელობა აქვთ. თქვენის ფიქრით თავდაპირველად რას ნიშნავდა ეს სახელ-წოდება? ვითომ მოლაშქრეს? არა. ეს სახელი ორი სიტყვიდამ არის შემდგარი და, მაშასადამე, ორი ფესვიდამ: ლაშ და ქარ, აქვს დაბოლოვება „ა“.

ჩემის ფიქრით, ფილოლოგებისა-კი რა მოგახსენოთ, ეს სახელწოდება იქნებოდა თავდა-პირველად გამომხატველი პირ-ქარიანობისა, ყბედობისა. ბავშვი მინამ მოლაშქრეობას შესძლებს ჯერ ყბედობს და სახელიც მაშინ ერქმევა. ეს უკანასკნელი მაგალითიც იმიტომ მოვიყვანე, რათა მეჩვენებინა მკითხველისათვის მნიშვნელობა სიტყვისა „ლაში“ — რომ იგი სიტყვა მართლა პირს ჰნიშნავს, ანუ ბაგეს. თითონ სიტყვა ლაშქარი წარმოსდგება იმავე ლაშქრიანობიდამ, ანუ პირ-ქარიანობიდამ. ჯარი საომრად მუდამ მღერით გაემართებოდა: პირსა ჰქარავდა, ქლავქუვობდა.

ეს იყო ჩემი სათქმელი. დანარჩენი სპეციალისტებისათვის მიმინდვია; იმათ ივარაუდონ: ლაშა რუსულია, აფსარული, თუ ნამდვილი ქართული, ჰნიშნავს, — სახიერს, უსახურს, ყბედს თუ რას.

ვაჟა-ფშაველა

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

იტალია. ამას წინად გამოჩენილმა კრიმინალისტმა, რომის უნივერსიტეტის პროფესორმა და იტალიის პარლამენტის დეპუტატმა ენრიკო ფერრიმ, აქამომდე მემარცხენე ლიბერალთა დასის წევრმა, გამოაცხადა, რომ სოციალისტების დასში გადავდივარო. შემდეგ ერთს საპოლიტიკო კრებაზედ ტურინში მეორე მეცნიერმაც გამოაცხადა სოციალისტების დასში გადასვლა — ჩეზარე ლომბროზომ, რომელიც ფსიხიატრიის დოქტორია და ცნობილია ფერრიზედ მეტად სისხლის სამართლის ცოდნაში. მეტადრე ცნობილია მისი ორი თხზულება L'uomo delinguente და „გენიოსი და ჭკუა-შეშლილი“.

ეს ორივე მეცნიერი ემხრობიან ესრედ-წოდებულს ანთროპოლოგიურ სკოლას სისხლის სამართალში; ლომბროზო ამ სკოლის დამაარსებლადაც ითვლება და ფერრი იმის თანამოაზრედ. მეცნიერნი იმ აზრისანი არიან, რომ კაცის ყოველ მოქმედებას (დანაშაულობასაც) ადამიანის ხასიათში უძევს საფუძველი, და ხასიათს — მის აგებულებაში; დანაშაულობა, როგორც ისეთი საქციელი, რომელიც სტანჯავს და ჰღუპავს თვით დამნაშავეს, იმას ამტკიცებს, რომ დამნაშავეს ვერ შეუთანხმებია თვისი მოთხოვნილებანი იმ გარემოებასთან, რომელშიაც სცხოვრობს. მაშასადამე დამნაშავე საღი ადამიანი არა ყოფილა, არამედ ავადმყოფი და ეს ავადმყოფობა მის აგებულებასაც უნდა ემჩნეოდეს.

თუმცა ზოგი სოციალ-დემოკრატი სცდილობდა თავისი მოძღვრება ანთროპოლოგიურ სკოლასთან შეეთანხმებინა, მაგრამ საზოგადოდ-კი ისე ეგონათ, რომ ამ სკოლასა და სოციალისტთა მოძღვრებას შორის დიდი მანძილია, მათი დაახლოვება შეუძლებელიაო. თუ ეს ითქმის ამ ორ სწავლა-მოძღვრებაზედ, მით უმეტეს შეუძლებელი უნდა ყოფილიყო თვით ლომბროზოს დაახლოვება სოციალ-დემოკრატებთან, რადგანაც ის ამტკიცებდა, საჭიროა სიკვდილით დასჯაო, ნაფიცთა მსაჯულების გაუქმებაო, სასამართლოების მიერ სახალხოდ საქმის გარჩევა მავნებელიაო და სხვა.

მისი თეორია არ არჩევდა პოლიტიკურ დამნაშავეს და რევოლიუციონერს სხვა ჩვეულებრივ დამნაშავეთაგან, ყველა ესენი ერთგვარად გადაყენებულნი არიან.

ამ ამბის გამო გაზეთი Рус. Жизнь ამბობს:

„საუბედუროდ გაზეთები არ გვატყობინებენ, რა მოსაზრებამ აიძულა ლომბროზო სოციალისტების დასში გადასულიყო. ის რომ ჩვეულებრივი ანუ დიდი მეცნიერიც იყოს ფსიხიატრიისა და სისხლის სამართლისა, და არა ლომბროზო, მაშინ ამ ამბავს იმის მეტი მნიშვნელობა არა ექმნებოდა-რა, რომ სოციალიზმს ერთი კაცი კიდევ მიემხრო. არც თუ ისე დიდი მნიშვნელობა აქვს ფერრის მიმხრობას. ამ ამბავს დიდი მნიშვნელობა აქვს არა სოციალისტებისათვის, არამედ სისხლის სამართლისათვის და იმას ამტკიცებს, რომ ანთროპოლოგიურ სკოლის მოძღვრება ბევრს რიგიანად არ ესმის.

**

ამას წინად პეტერბურგის გიმნაზიებში პროფესორებმა გამოსცადეს შეგირდები, რომ გაეგოთ, როგორ მიდის ძველ ენების სწავლება. ამის გამო გაზეთი Рус. Вѣд.-ი ამბობდა მაშინ, რომ ამ ნაირი გამოცდა სასურველია არა მარტო პეტერბურგში და არა მხოლოდ ძველ ენების სწავლების შესახებო. ეხლა Нов. Время იუწყება:

ჩვენ გავიგეთ, რომ ამ გვარი გამოცდა და გამოკვლევა მართლა უნდა მოხდეს ამ წელს და აღმოჩნდება, რომ ჩვენს გიმნაზიებში ყოველივე ისე არა სუფევს, როგორც სასურველია, და იმ სისტემებმა, რომელიც ულოდელად მიაჩნდათ 20 წლის განმავლობაში, არა მარტო ტკბილი, არამედ მრავალი მწარე ნაყოფიც გამოიღო.

**

ფრანგული გაზეთი ფიგარო სწერს: არავისთვის ეხლა საიდუმლო აღარ არის, რომ ამ ორის თვის წინად ჩვენ ერთი ნაბიჯი-ღა გვქონდა გადასადგმელი, რომ ომი ატეხილიყო, იტალიის წყალობით... საბედნიეროდ, იმპრატორმა ფრანციოსებმა გადაჭრილი უარი სთქვა, მე ვერ ვიომებო, შეუდგალა გერმანიას და ამით ერთხელ კიდევ დაიცვა მშვიდობიანობა.

## რუსეთი

უმაღლესის ბრძანებით, ყოველწელს სამღვდელოებისათვის ჯამაგირად უნდა გადიდოს არა ნაკლებ 250,000 მანათისა, ხოლო სინოდის ობერ-პროკუროსა და ფინანსთა მინისტრს შეუძლიანთ სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვაში სამღვდელოები ჯამაგირებისათვის 250,000 მანათზედ მეტიც დანიშნონ ხოლმე ყოველ წლივ, ვიდრე იმდონი არ შესდგება, რომ რუსეთის ყველა საკრებულოს ეყოს ჯამაგირად.

სინოდს მოხსენდა, რომ 27 ეპარქიაში მეტად ღარიბი 2000 საკრებულოა. ამათ შორის ჯამაგირი და დახმარება მიეცემათ მხოლოდ 592 საკრებულოს, რომელთაც არც ჯამაგირი და არც დახმარება არ ეძლევათ ხაზინიდგან ანუ სინოდისაგან და მათი შემოსავალი 300 მანეთზედ ნაკლებია.

მოხსენებული 250,000 მანათი განაწილებულია ღარიბ საკრებულოთა შორის ჯამაგირად პირველ იანვრიდან ამა წლისა. უმეტესი ნაწილი ამ ფულისა — 15,827 მნ. დაენიშნა ტომსკის ეპარქიის 31 საკრებულოსათვის; ხოლო უმცირესი — 352 მ. 80 კ. ირკუტსკის ეპარქიას. მღვდლებს ეძლევათ ჯამაგირი ორთაშუა რიცხვით 294 მ. მთავარს 147 და მედავითნეს 98 მან. წელიწადში.

—

8 ნოემბერს შესრულდა 60 წელიწადი მას აქეთ, რაც პირველად აფიცრობა მიიღო გრაფმა დიმიტრი ალექსის ძემ მილიუტინმა, რომელიც სამხედრო მინისტრად იყო იმპერატორის ალექსანდრე II მეფობაში და შემდეგაც ცოტას ხანს. სამსახური გრაფის მილიუტინისა და მისი ღვაწლი საკმარისად დაფასებულია სამის იმპერატორის-მიერ: ნიკოლოოზის, ალექსანდრე II-ს და ალექსანდრე III-გან.

—

გაზეთი Руск. Жизнь იუწყება, რომ რუსეთში ვეჯეტარინები თანდათან მრავლდებიან. ისინი საერთო ძალ ღონითა სცდილობენ მისცენ კაცს საზრდო იაფი, მარგებელი და ზნეობრივი. ერთს სამზარეულო წიგნს უკვე ჰბეჭდავენ და საკუთარ გაზეთის დაარსებასაც აპირობენ, რომელსაც „პირველი ნაბიჯი“ ეწოდება და კვირაში ერთხელ გამოვა. თანამშრომლად ეყოლება, სხვათა შორის, ავტორი „პირველი ნაბიჯი“-სა გრაფი ლ. ტოლსტოი, ბოტანიკოსი ბეკეტოვი, ლესკოვი, მენშიკოვი და სხვანი.

—

კიევის გუბერნიაში თან-და-თან გავრცელდა სიმინდის ხმარება. ინჟენერ ტეხნოლოგს ვ. იუნკერს, რომელსაც მოსკოვის გუბერნიაში ქარხანა აქვს და სიმინდისაგან შაქარს აკეთებს, განუზრახავს ასეთივე ქარხანა გამართოს კიევის გუბერნიაშიც. სიმინდისაგან გაკეთებული შაქარი მართალია ისეთი მაგარი არ არის, როგორც ჭარხლისა, მაგრამ ძლიერ ტკბილია და შეიძლება იხმარებოდეს სხვა-და-სხვა ტკბილეულობის გასაკეთებლად. გარდა ამისა სიმინდისაგან აკეთებენ სახამებელსა და გუმერაბიკს.

—

რუსეთის ერთს ჟურნალში დაბეჭდილია წერილი შესახებ იმისა, როგორ უნდა მოიკირწყლოს ქალაქის ქუჩები. ამას წინადაო, ამბობს ეს ჟურნალი, მიუნხენში შეიკრიბა 100 მკურნალი და ყველამ ერთ ხმად გადასწყვიტეს, რომ ქვებით მოფენა ქუჩებისა ძლიერ მავნებელია, რადგანაც ხმაურობის გამო ქალაქებში ძლიერ ბერი ხალხი ხდება ავად ნერვებით. ამერიკაში უკვე აღმოჩენილა ერთ გვარი ავადმყოფობა, რომლის მიზეზადაც ქუჩების ქვაფენილების ხმაურობას ასახელებენ. გაცილებით უმჯობესია ქუჩების დაფენა ასვალტით, მით უმეტესად, რომ ასვალტი ზამთარში ყინვების გამო, არა ფუქდება. რაც შეეხება ზაფხულს მართალია ასფალტი რბილდება 50° სიცხის დროს, მაგრამ რუსეთში ასეთი სიცხე ძლიერ იშვიათად არის ხოლმე და ამიტომ კარგია რუსეთის ქალაქების ქუჩები ასფალტით მოიფინოს.

## შინაურული აღზრდა.

—

მშობელთა კრებაზედ პეტერბურგში ი. ო. ფესენკომ წაიკითხა რეფერატი იმის შესახებ, თუ რა არის მიზეზი უთანხმოებისა, რომელიც ჩამოვარდება ხოლმე ბავშვებსა და აღმზრდელ ქალსა ანუ მშობელთა და აღმზრდელ ქალთა შორის. ახალგაზდა ქალი ბევრჯერ აღმზრდელობას იკისრებს ხოლმე იმიტომ-კი არა, რომ უყვარდეს ეს საქმე და გული ერჯოდეს, არამედ ლუკმა პურისათვის. ხოლო არ იცის, როგორ უნდა მოექცეს ბავშვებს, რა უნდა აკეთოს მათთან, მალე ჰბეზრდება ეს საქმე და უცრუვდება გული. ამას-კი ის მოსდევს, რომ მშობლები უკმაყოფილონი არიან და ბავშვები — ზნეობით დამახინჯებულნი.

ვისაც აღმზრდელის მოვალეობა უნდა სინიდისით შეასრულოს, ჯერ უნდა გაიგოს, რას ავალებენ მშობლები, და შემდეგ ორი რამ ახსოვდეს ყოველ ჟამს: ყოველივე თავ-თავის დროს და არაფერი გადაჭარბებით. აღმზრდელი უნდა ამასთანავე მომთმინე იყოს, მხნე და მტკიცეხასიათისა.

## სპირიტიზმი

რუსეთში ერთი პატარა ჟურნალია, სახელად „Ребусъ“, რომელიც სპირიტიზმის იარაღად გადაქცეულა. ამ ჟურნალის რედაქტორთან ვ. პ. პრიბიტკოვთან ლაპარაკი ჰქონია გაზეთ Новости-ს თანამშრომელს ი. მ—ვს სპირიტიზმის შესახებ.

— არ შეიძლება ორიოდე სიტყვით მაცნობოთ სპირიტიზმის ისტორიაო? — უკითხავს ი. მ—ვს.

— იმ საოცარმა მოვლენის ამბავმა, რომელმაც ამერიკაში იჩინა თავი, რუსეთს მოაღწია 1851—1852 წლებში და პირველსავე დღეს მაღალ საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. მალე პეტერბურგსა და მოსკოვში დატრიალდნენ თეფშები, შაპოები, რგვალი სტოლები და სხვა. ჰფიქრობდნენ, რომ ტრიალის მიზეზი გარდაცვლილთა „სულიაო“ და, გამოკვლევის მაგიერ, გართობა და მკითხაობა დაიწყეს. შემდეგ ნასწავლმა და განვითარებულმა კაცებმაც მიაქციეს

ეროვნული ბიბლიოთეკა



ყურადღება და მიჰყვეს ხელი მეცნიერულ გამოკვლევას. ამ მკვლევართა მეთაური მათემატიკოსი ოსტროგრადსკი იყო. პეტერბურგშიაც დაარსდა პატარა საზოგადოება «კარდეკისტებისა» (კარდეკი, სახელად ალან, სპირიტთა წარმომადგენელი იყო) და მედიუმებიც (ის კაცი, რომელსაც „სული" ელაპარაკება და ამოძრავებს) აღმოჩნდნენ, მაგრამ სპირიტიზმი მაინც ვერ გავრცელდა. ხოლო მედიუმმა იუმმა მიიქცია დიდი ყურადღება პეტერბურგის საზოგადოებისა. შემდეგ კი გამოჩნდნენ ისეთი ნასწავლი კაცები, ერთი პროფესორიც-კი, რომლნიც გულ-მოდგინედ შეუდგნენ სპირიტიზმის შესწავლას და გამოკვლევას, სხვათა შორის, ა. ნ. აკსაკოვი, რომელიც რედაქტორია სპირიტების ჟურნალისა, პროფესორები ბუტლეროვი და ვაგნერი, რომლის წერილმა, ჟურნალ Вѣст. Евр.-ში დაბეჭდილმა, დიდი კამათობა გამოიწვია. საფრანგეთსა და ინგლისში რამდენიმე საზოგადოება არსებობს მეცნიერთა. ეს მეცნიერნი იკვლევენ ამ გვარ მოვლენას.

— მე გამიგია, რომ ამ გვარი მეცნიერთა საზოგადოება პეტერბურგშიაც არის.

— დიაღ არის და იმის თავმჯდომარედ პროფესორი ვაგნერია.

— კარგად მიჰყავს საქმე ამ საზოგადოებას?

— ეს საზოგადოება ჯერ სპირიტიზმს უყურადღებოდა სტოვებდა და მხოლოდ ფსიხოლოგიურ გამოკვლევას მისდევდა. ამ საზოგადოების ნაკლულევანება ის არის, რომ სპირიტები არა ჰყავს წევრებად და არც საკმარისი ღონისძიება აქვს.

— რას ჰფიქრობთ თქვენ ვერა კრჟანოვსკის რომანების შესახებ, რომელნიც როჩესტერის სულის შთაგონებით არის ვითომც ნაწერი?

— ნუ-კი გგონიათ, რომ მე სპირიტი-ფანატიკოსი ვიყო!—სთქვა Ребусъ-ის რედაქტორმა.—მე მხოლოდ დარწმუნებული ვარ, რომ პირველი რომანები სწორედ როჩესტერის სულის შთაგონებით არის დაწერილი და, რაც შეეხება უკანასკნელ რომანს, მე ჯერ ვერას ვიტყვი.

— თქვენ, უეჭველია, ყოფილხართ სეანსებზედ (როდესაც სული მედიუმს ელაპარაკება და ამოძრავებს სტოლსა და სხვა საგნებს). შესანიშნავი რამ ხომ არა მომხდარა-რა ამ ბოლოს დროს?

— აი, რამდენიმე წელიწადია, რაც სეანსებს აღარ დავსწრებივარ და საზოგადოდ არ მომწონს ის გზა, რომელსაც ეხლანდელი მედიუმები დაადგნენ. რა საჭიროა ბნელი ოთახი და მოწყობილობა, რომელიც აშინებს იქ მყოფს? მე ვირწმუნე სპირიტიზმი მხოლოდ იმიტომ, რომ მე თვითონ ამიხდა რამდენიმე წინასწარმეტყველება.

— ბევრი მეცნიერი მედიუმებს აბრალებს, ვითომც ტყუილად რაღასაც მოაჩვენებენ ხოლმე. მართალია?

— საუბედუროდ, ბევრჯერ დაუჭერიათ თვალთ-მაქცეობაში ისეთი კაცები, რომლებსაც მედიუმობა ხელობად გარდაუქცევიათ. შესაძლებელია განა ადამიანის სული ბრძანებისამებრ ამოძრაო (სპირტიზმი ხომ სწორედ ამ ნაირი მოვლენაა?); ხანდისხან „სული" კაცზედ უარესადა სტყუის ხოლმე და ეს გარემოება ძალიან ხელს უშლის სეანსებს.

დასასრულ, Ребусъ-ის რედაქტორმა სთქვა:

— ნება მომეცით ერთი ახალი ამბავი გაუწყოთ. გამოჩენილი მედიუმი ევზაპი პალადინო, გამოჩენილ ლომბროზოს გმირი, მგონი მალე პეტერბურგში მოვა. ჯერ ვარშავში მივა, სადაც შარშან უნდა ყოფილიყო, იმის „იმპრესარიოს" კაიას რომ არ დაემალა, რუსეთის ცივმა ჰავამ მედიუმის ჯანმრთელობას არ ავნოსო. გესმით? მედიუმსაც შეიძლება თურმე ავნოს ჰავამ.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** ქარიშხალი ნავარდობს. გემების მისვლა-მოსვლა კალესა და დუვრის შორის შესწყდა. დეპეშები-კი იგზავნება. ამბობენ, გემები და მრავალი კაციც იღუპებიანო.

—

3 ნოემბერს მოხდა კრება რადიკალთა და პროგრესისტთა დეპუტატებისა. კრებას დაესწრნენ უმთავრესნი ორატორნი ჟულიენი, პელტანი და გობლე. ჟულიენმა ურჩია რადიკალთა და რესპუბლიკელთ, ყველანი შევერთდეთ და შემდეგი პროგრამმა მივიღოთო: 1) ხარჯი გაწერილ იქმნას შემოსავლის კვალობაზედ; 2) შემცირებულ იქმნას გაუწერელი ხარჯი; 3) გაუქმებულ იქმნას სასმელების აქციზი და საბაჟოს გარდასახადი 4) მემკვიდრეობის უფლება დარჩეს მხოლოდ ნათესაობის მეოთხე თაობამდე; 5) დაარსებულ იქმნას ორგანიზაცია მცირე წლოვანთა და მოხუცთა დახმარებისათვის 6) დაარსებულ იქმნას საპენსიო კასსა მუშათათვის; 7) შემცირებულ იქმნას გარდასახადი სასამართლოში საქმის წარმოებისა; 8) განხილულ იქმნას კანონები სისხლის სამართალის საქმეების გამოძიებისა და დასასრულ, 9) განხილულ იქმნას კონსტიტუცია და სენატს ჩამოერთვას ის უფლება, რომლის ძალითაც მას აქამდე შეეძლო შეეჩერებინა აღსრულება დეპუტატთა პალატის ზოგიერთ გარდაწყვეტილებისა.

—

საფრანგეთის გაზეთ Lournal du Soldat ში დაბეჭდილია შემდეგი ამბავი, რომელიც მომხდარა 1875 წ.

საფრანგეთს ჯერ არ მოურჩა ომის დროს მიღებული წყლულები, მაგრამ ჯერ ისევ 1875 წელს ისე გაძლიერდა, რომ გერმანიას ომი უნდა გამოეცხადებინა მისთვის. გერმანიის სამხედრო საბჭოში, რომელსაც თვით ვილჰელმ პირველი მეთაურობდა, მარშალმა მოლტკემა სთქვა: „მე მსურს ომი საფრანგეთთან, რადგანაც ჯერ ერთი რომ გერმანელი ვარ და მეორეც ქრისტიანი კაცი, რადგანაც დარწმუნებული ვარ, რომ ათის წლის შემდეგ ომი მაინც მოხდება, უფრო ძვირად დაგვიჯდება, ვიდრე ეხლა და გაცილებით მეტი სისხლი დაიღვრებაო".

იმავე დროს გენერალმა ლეფლომ, რომელიც საფრანგეთის ელჩად იყო პეტერბურგში რუსეთის ხელმწიფეს მოახსენა:

— მეფეო! მტერს სურს გაანადგუროს საფრანგეთი,—მაგრამ ლომი უბრძოლოდ არ მოკვდება. რუსეთის ისტორია გვიმტკიცებს, რა გმირობა შეუძლიან განწირულ ერსა. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი უდიდებულესობა დიდხანს ვერ უყურებს გულგრილად ამ ბრძოლასა... სისხლის ღვარი მოჰრწყავს მთელს ევროპას...

საფრანგეთის ელჩს ცრემლი მოერია. იმპერატორი წამოდგა აღელვებული.

არა, ნებას არ მივცემ ასეთის უსამართლობისას,—სთქვა რუსეთის მეფემ, მე მოველაპარაკები გერმანიის იმპერატორს...

მართლაც მოელაპარაკა და გერმანიაც უკუ სდგა... აი როგორ დაგვეხმარა მაშინ რუსეთი, დასძენს ამ ამბავს ზემოხსენებული გაზეთი,—რუსეთმა ხელი ხმალს იკრა და გერმანიამ ამოღებული ხმალი წამსვე ქარქაშში ჩააგო. რუსეთმა დრო მისცა საფრანგეთს თავისი ხმალი გაელესა...

—

გაზეთ „Моск. Вѣд."-ში დაბეჭდილია წერილი ლუკოიონის მაზრის ერთის მემამულესი ვ. პ. კორსაკოვისა. აი რასა სწერს სხვათა შორის ეს მემამულე:

მე ვაჩუქე გლეხებს სკოლის შენობისთვის ხე-ტყე, აგური და ორი დესეტინა ადგილი, იმ პირობით, რომ გლეხებს ამ ადგილზე სკოლა აეგოთ 100 ქალისთვის. თვით შენობის აგებაც მე ვიკისრე, დავიქირავე მუშები და შევუდექი საქმეს. უცბად გლეხებმა უარი სთქვეს სკოლის აგებაზედ, ძვირად ჯდება, თითო სული 2 მანათს ვერ გავიღებთ მაგ სკოლის ასაგებადაო. ამ უარს მოჰყვა სამის დღის ლოთობა და სოფელში ერთი ახალი სასმელის დუქანიც გაიმართა და ჩემ მიერ შორეულ ადგილიდგან მოწვეულ ხელოსნებმა სასამართლოში მიჩივლეს, ზარალი გვიზღეო.

ამ აზის გამო ბატონი კარსაკოვი სჩივის, რომ არსებობს ისეთი ქვეყნები, სადაც აყვავებულია ცოდნა, მეცნიერება და ხელოვნება, რუსეთში-კი ყველგანა მეფობს უმეცრება და უგუნურობა.

რა არის ამისი მიზეზი, ღმერთმა უწყისო ამბობს ბ-ნი კორსაკოვი. ხოლო ამის პასუხს თითონვე იძლევა ზემოხსენებულ წერილში:

ჩვენს მხარეს გლეხები სრულიად უმეცარნი და გაუნათლებლები არიან; სასკოლო წლოვანების ყრმათა შორის $1/_{15}$ არ იცის წერა-კითხვა. გლეხობა ღარიბია ყველა წოდებაზედ, სახელმწიფო ხარჯი ყველაზედ მეტი მას აწევს, ლოთობს მთელს თავის სიცოცხლეს და ამ ლოთობ ს წყალობით თანდათან უძლურდება სულითა და ხორცით.

—

**იტალია.** იტალიელები ხელის-მოწერით აგროვებენ ფულს, რომ მარშალ მაკ-მაგონს ძეგლი დაუდგან მანჯენტოში. ხელის მოწერის ფურცელზედ სწერია:

ვაი ჩვენ, ფრანგ-იტალიელთა იარაღს მტერი რომ არ განედევნა. საეჭვო იყო, რითი გათავდებოდა ომი, როდესაც მაკ-მაგონი მოულოდნელად დაეცა მტერს, გაჰფანტა და შემუსრა ერთი უძლიერესი ჯართაგანი ევროპისა. Veni, vidi, vici—შეეძლო დაეძახნა მაშინ მორის მაკ-მაგონს. მთელ ლომბარდიის ხალხმა, მაკ-მაგონის მიერ სამუდამოდ განთავისუფლებულმა უცხო მტერისაგან, უნდა მიიღოს მონაწილეობა ხელის-მოწერაში, რომ შესაფერი და ღირსეული ძეგლი გაკეთდეს.

—

გაზეთ Diritto-ში დაბეჭდილია წერილის შესახებ იტალიისა, რომელმაც დიდი ყურადღება მიიქცია:

„იტალია ისევ ერთგული უნდა იყოს სამთა-კავშირისა, თუ უნდა სცდილობდეს დაახლოვებას რუსეთთანა და საფრანგეთთან—აი რა არის ეხლა სალაპარაკო საგანი. ეჭვი არ არის, რომ სამხედრო ხარჯი, რომელიც სამთა-კავშირმა შეაწერა იტალიას, დიდს ვნებას აძლევს სახელმწიფოს და ამასთანავე მოკავშირეებმა თითიც არ გაანძრიეს, რომ დაიხსნან მეგობარი გაჭირებისაგან. მოკავშირეებმა უფრო დასცეს კრედიტი იტალიისა, ვიდრე ფრანცუზებმა. იტალიას ბევრი თავში საცემი საქმე აქვს ეხლა მოთავებული. დროა შუქი მოეფინოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას".

## გასართობი

ერთმა კაცმა სთქვა: ცოლქმრობისთვისაც ისეთივე კანონი უნდა იქმნას შემოღებული, როგორიც სახლის დაქირავებისთვის არის. სახლს კაცი პირობით იჭერს ორისა, ხუთისა, ან ათის წლის ვადით და შემდეგ შეუძლიან ეს სახლი იყიდოს კიდეცა, თუ მოეწონა.

—

გამოჩენილი მწერალი და ბუნების მეტყველი ბიუფონი ერთხელ სოფლის ახლოს დასეირნობდა ნაცნობებთან ერთად. ერთმა ახალგაზდა ქალმა ჰკითხა: რა განსხვავებაა ბუღასა და ხარს შორის? ბიუფონმა უპასუხა: ჰხედავთ, აგერ იმ ხბორებსა?—ბუღები იმათი მამები არიან და ხარები-კი—ბიძები.

—

ამერიკის გაზეთებში დაბეჭდილი იყო, რომ სასამართლომ ერთს კადნიერ მოარშიყეს 20 დოლარი ჯარიმა მიუსაჯა იმის გულისთვის, რომ მან ერთს ახალგაზდა ქალს ქუჩაში აკოცა. ეს ამბავი წაიკითხა პეტერბურგში ერთმა ქალმა და სთქვა: „ოჰ, უმადურო რუსეთო! ვერ იხილავ შენ ჩემს ძვლებსა: წავალ ამერიკაში. დაე იქ მკოცნონ, რამდენიცა სურთ და, თუ გინდა იმის ნახევარი ჯილდო მომცენ ხოლმე, რაც იმ გოგოს გადუწყვიტეს ერთის კოცნისათვის!".

## დეპეშა

24 ნოემბერი.

**პარიჟი.** სამინისტრო კრიზისი მოახლოვდა. მინისტრებმა გარდასწყვიტეს მიართვან რესპუბლიკის პრეზიდენტს თხოვნა სამსახურიდგან დათხოვნისა. კარნომ კაზიმირ-პერიეს სთხოვა ახალ სამინისტროს შედგენა, ხოლო იმან უარი განაცხადა, ამბობენ, რომ ეს საქმე მიენდობა ისევ დიუპუის, ანუ მელინსა.

პეტერბურგის ბირჟა, 12 ნოემბ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,63 | 7,65 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები | 152 1/2 | 153 1/4 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — ,, | — ,, | 245 |
| —მეორისა . . . | | — ,, | 222 1/4 |
| 4% მესამე სესხისა. . | -- ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი | — ,, | — ,, | 191 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6%. . . . . | 100 | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . | — ,, | 99 | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | 100 | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | 99 | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოების | 97 1/2 | , | — ,, |

## რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი № 2 9 ს. 30 წ. დილ. და № 4 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის № 1 9 ს. 52 წ. საღ. და № 3 12 ს. 25 წ. დღ.

ტფილისიდგან ბაქოს № 3 მიდის 1 ს. 20 წ. დღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის 5 ს. 50 წ. საღ.

### ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის 9 ს. 20 მ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მოდის 1 ს. 30 წ. დღის.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

### იმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

**ბათუმიდამ გადის:**

ხუთშაბათობით: დღისით 12 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში და კერჩში.

სამშაბათობით და შაბათობით: შორის გზით 2 ს. შუად. შეივლის ყველა ნავთსადგურში.

**ბათუმში მოდის:**

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსისკით და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით ნოვოროსსისკით და სოხუმით.

პარასკეობით და ოთხშაბათობით: საღ. შორის გზით, შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პარასრკეობით: საფოსტო და სახალხო.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან.

**ფოთიდგან გადის:**

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე.

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

—

## განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება ოზურგეთში და ახალ-სენაკში კ. თავართქილაძის მაღაზიაში და სხვაქალაქებში, სადაც-კი ქართული წიგნი იყიდება

თამარიანი

ისტორიული პოემა
შაირ წყობილად თქმული
თ. ს. გუგუნავას-მიერ
მეორე გამოცემა
ფასი 50 კაპ.

კბილის ექიმი
ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 8-დგან 12 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
კვირა-უქმე დღეებში
დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—122)

## „ქართველთა ამხანაგობის“

წიგნის მაღაზიაში ისყიდება ამხანაგობის შემდეგი გამოცემანი:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| თხზულებანი ა. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი, ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე . | 1 | 20 |
| იგივე მშვენიერი ქაღალდზე და მშვენიერისავე ყდით, თითო ტომი ცალკე. . . . . . . | 2 | 50 |
| ოთხი ტომი ერთად . . | 9 | „ |
| სრული სამზარეულო ქართულისა და ევროპიული საჭმელებისა . . | 1 | 20 |
| იგივე ყდით . . . . . | 1 | 40 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი . . . . . . | „ | 80 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | 1 | 25 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა, ლეგენდა პოემა ბაჩანასი | „ | 15 |
| ხალხური ზღაპრები I ნაწილი . . . . . | „ | 30 |
| იგივე ყდით . . . . | „ | 75 |
| ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი (ფსევდონიმი) . | „ | 40 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 90 |
| თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი, ტომი I . . . . . . | 1 | 20 |
| იგივე კარგს ქაღალდზედ, მშვენიერის ყდით . . | 2 | 50 |
| ტომი II . . . . | 1 | „ |
| იგივე კარგს ქაღალდზედ მშვენიერის ყდით . . | 2 | 50 |
| ტომი III . . . . | 1 | „ |
| იგივე კარგს ქაღალდზედ მშვენიერის ყდით . . | 2 | „ |
| ტომი IV, იზა, ორი წიგნი . . . . | 1 | 60 |
| იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერი ყდით . . | 3 | „ |
| ჩანგი . . . . . . | 1 | „ |
| სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა . . . | „ | 20 |
| თხზულებანი აკაკისა, ტომი 1 ფასი . . . . | 1 | „ |
| იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერის ყდით . . | 2 | 50 |
| თხზულებანი მისივე ტომი II ფასი . . . . | 1 | „ |
| იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერის ყდით . . | 2 | 50 |
| არაკები, საბა ორბელიანისა, ბავშვებისთვის . | „ | 25 |
| სიბრძნე-სიცრუვე, მისივე . | „ | 75 |
| იგივე კარგს ქაღალდზე . | 1 | 50 |

(5—0—1)




## გამოსადეგი ცნობანი

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა

დილაობით იღებენ:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

უ. მ. ჩიქოვანი, 9—10½ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10½—11½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვეისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი, 11½—12½ საათამდის, სნეულებანი: ყურ-ს, ყელის და ცხვირისა.

ექიმი—ქალი ა. მ. ტურბოვიჩი 12½—1 საათამდის, სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ი. ვ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: გულ მკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ა. გურკო, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი) და ვენერიული.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ე. ი. ფრანციუსი, 7—7½ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიც აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

## „ჩიკაგო“

წინანდელი სასტუმრო „დანია“ გადავიტანე 1 ოქტომბრიდგან 1893 წ. მოსე არუთინოვის სახლში, კადეტის კორპუსთან, გოლოვინის პროსპექტის ახლო, ქალაქის შუაგულს, სადაც დავაარსე ახალი **მოწყობილი ოთახები** სახელად „**ჩიკაგო**“.

ყველა ოთახები მშვენიერად არის მოწყობილი. სამაგალითო სისუფთავეა. მოსამსახურე ზრდილობიანია და სწრაფი. ყველაფერი წესიერია.

### ფასი ოთახებისა

დღიურად 3 აბაზიდგან—3 მანეთამდე, თვიურად და წლობით ბევრით იაფად.

ნ. კოსკანოვი

(25—1018—13)

## СОЧ. ДОСТОЕВСКАГО

## „НИВА“

## БЕЗПЛАТНОЕ ПРИЛОЖЕНІЕ НА 1894 Г. ПРИ ЖУРНАЛѢ

подписчики „НИВЫ“ на ЮБИЛЕЙНЫЙ 1894 г. получатъ:

52 №№ журнала “НИВА“ (до 1500 столбцовъ текста и 500 гравюръ).

12 КНИГЪ соч Ѳ. М. ДОСТОЕВСКАГО.

12 ВЫПУСКОВЪ »Ежемѣсячныхъ литературныхъ приложеній«.

12 №№ „Парижскихъ модъ“ (съ 300 модн. рис. въ годъ).

12 №№ рукодѣльныхъ и выпильныхъ работъ и выкроекъ (съ 600 рисунк. и чертежами въ теченіе года).

2 ОФОРТА профессора Ив. Ив. Шишкина.

КАРТИНА проф. Ю. Ю. Клевера «Островъ Наргенъ», отпечатан. 15 красками.

КАРТИНА художника Расмуссена „Неро-Фіордъ въ Норвегіи“, отпечатан. 18 красками.

СТѢННОЙ КАЛЕНДАРЬ, отпечатанный красками.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА

За годовое изданіе

„НИВЫ“

со всѣми приложеніями:

| | |
|---|---|
| безъ доставки въ С.-Петербургѣ | 5 р. |
| съ доставкою въ С.-Петербургѣ . . . . . . | 6 р. 50 к. |
| безъ доставки въ Москвѣ чр. конт. Н. Печковской . . . . | 6 р. |
| съ пересылкою иногороднымъ | 7 р. |
| За границу . . . . . | 10 р. |

Съ требованіями обращаться въ ГЛАВНУЮ КОНТОРУ журнала „НИВА“, СПБ., Невсій пр. № 6.

Допускается разсрочка платежа въ 2 и въ 3 срока



## წისქვილის თვლები

**თვლები** ხორბლის წმინდად დასაფქვავად, ქატო ბრტყელი იქმნება.

**ტურბინები** (წყალის ამომყვანი) და ნავთით მომუშავე მანქანები „**სლავა**“ (დიდება).

В. Б. Жуковскій С.-Петербургъ 10. рота, 16.

## „ივერია“

ამ 1893 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . . | 9 „ 50 „ | 5 „ . . . . | 5 „ 50 „ |
| 10 „ . . . . | 8 „ 75 „ | 4 „ . . . . | 4 „ 75 „ |
| 9 „ . . . . | 8 „ — „ | 3 „ . . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . . | 7 „ 25 „ | 2 „ . . . . | 2 „ 75 „ |
| 7 „ . . . . | 6 „ 50 „ | 1 „ . . . . | 1 „ 50 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—ორი აბაზი.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცახადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

### ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უგანსკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან 7½ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

1894 წლის იანვრიდგან

გამოვა ყოველ თვიური ქართული ჟურნალი

## „მოამბე“

შემდეგის პროგრამმით:

I სიტყვა-კაზმული მწერლობა ორიგინალი და ნათარგმნი რუსულიდან და უცხო ენებიდან: რომანები, მოთხრობები, ამბები, ლექსები, პოემები, დრამატიული თხზულებანი და სახალხო სიტყვიერების ნაწარმოები.

II ისტორია, გეოგრაფია, არქეოლოგია, ბიოგრაფია შესანიშნავის კაცებისა, საერო მეურნეობა, მართლ მსაჯულება, შესანიშნავი სამჯავრო პროცესები

III სასოფლო მეურნეობა: სასოფლო მეურნეობისა და მრეწველობის შესახებ სტატიები და კორესპონდენციები.

IV კრიტიკა და ბიბლიოგრაფია ქართულის, რუსულისა და უცხოეთის სალიტერატურო და სამეცნიერო თხზულებათა შესახებ.

V ქრონიკა: ახალი ამბები შინაურის და უცხო ქვეყნების ცხოვრებიდან.

VI ნარევი.

VII განცხადებანი.

### ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

ერთის წლით—10 მან., ექვსის თვით—6 მ., სამის თვით—4 მ.

ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ:

აკაკი, ნ. ავალიშვილი, არაგვისპირელი (ფსევდონიმი), ი. ბაქრაძე, კ. ბაქრაძე, ბაჩანა (ფსევდონიმი), ეკ. გაბაშვილისა, ი. გოგებაშვილი, დონ-იაგო (ფსევდონიმი), დუტუ მეგრელი (ფსევდონიმი), დიმ. ერისთავი, ვაჟა-ფშაველა (ფსევდონიმი), გრ. ვოლსკი, თავისუფალი სვანი (ფსევდონიმი), ექ. თაყაიშვილი, გ. იოსელიანი, დ. კარიჭაშვილი, კირ. ლორთქიფანიძე, გ. მაიაშვილი (ფსევდონიმი), პროფესორი ნ. მარრი, სოფ. მგალობლიშვილი, მეველე (ფსევდონიმი), მელანია (ფსევდონიმი), პროფესორი პ. მელიქიშვილი, ი. მესხი, ნ. მთვარელიშვილი, შ. მღვიმელი (ფსევდონიმი), ა. ნანეიშვილი, ი. ნიკოლაიშვილი, ნ. ნიკოლაძე, ე. ნინოშვილი (ფსევდონიმი), ნ. ორბელიანისა, პროფესორი ვ. პეტრიაშვილი, თ. რაზიკაშვილი, გ. საძაგლიშვილი, პ. უმიკაშვილი, ნ. ურბნელი (ფსევდონიმი), ი. ფერაძე, ა. ფრონელი (ფსევდონიმი), ან. ფურცელაძე, ს. ლოლობერიძე, მ. ყიფიანი, ს. ყიფიანი. გრ. ყიფშიძე, ი. ჩიქოვანი, ცახელი (ფსევდონიმი) ანას. წერეთლისა, გ. წერეთელი, ილ. ჭავჭავაძე, ა. ჭიჭინაძე, ა. ხახანაშვილი, მ. ხელთუფლიშვილი, ი. ხონელი (ფსევდონიმი), ნ. ხუდადოვი, ს. ხუნდაძე, ა. ჯაბადარი, ი. ჯაბადარი, მ. ჯანაშვილი და სხვანი.

ხელის მოწერა მიიღება თვით რედაქციაში, რომელსაც უნდა მიჰმართოს შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинскаго журнала „Моамбе“.

ჟურნალში დასაბეჭდი წერილები და სტატიები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელნაწერები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებული და ან შესწორებული იქმნება. ხელნაწერები, რომელიც არ დაიბეჭდება, პატრონებმა რედაქციაში უნდა მოიკითხონ ერთის თვის განმავლობაში; მერე კი ველარ მოსთხოვენ რედაქციას. არავითარ მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელნაწერების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდან სამ საათამდის ნაშუადღევს.

რედაქცია იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ, № 13. ადრესი ტელეგრამებისათვის: Тифлисъ, Редакція «Моамбе».

რედაქტორი ალექსანდრე ჭყონია

გამომცემელი ნიკოლოზ ლოლობერიძე

Доз. ценз. Тифлисъ, 15-го Ноября 1893 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე